

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების საშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”

2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-27

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	37,916	40,269
დაუმთავრებელი მშენებლობა	7	18,182	36,422
აქტივის გამოყენების უფლება	8	14	439
არამატერიალური აქტივები		-	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	27,348	31,807
სულ გრძელვადიანი აქტივები		83,460	108,938
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	31,876	40,254
საგადასახადო აქტივები, ნეტო	10	6,663	7,069
გადახდილი ავანსები	11	17,176	18,379
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12	1,895	3,922
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,982	33,042
სულ მიმდინარე აქტივები		62,592	102,666
სულ აქტივები		146,052	211,604
წმინდა აქტივები			
სათავო ოფისის ანგარიში	14	145,932	149,123
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(123,977)	(56,719)
სულ წმინდა აქტივები		21,955	92,404
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	15	62,053	62,053
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62,053	62,053
მიმდინარე ვალდებულებები			
მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი		-	3,536
საიჯარო ვალდებულებები	8	23	492
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	62,021	53,119
სულ მიმდინარე ვალდებულებები		62,044	57,147
სულ ვალდებულებები		124,097	119,200
სულ წმინდა აქტივები და ვალდებულებები		146,052	211,604

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მა ჯინ

ვუ ხინფინგ

7-27 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	37,916	40,269
დაუმთავრებელი მშენებლობა	7	18,182	36,422
აქტივის გამოყენების უფლება	8	14	439
არამატერიალური აქტივები		-	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	27,348	31,807
სულ გრძელვადიანი აქტივები		83,460	108,938
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	31,876	40,254
საგადასახადო აქტივები, ნეტო	10	6,663	7,069
გადახდილი ავანსები	11	17,176	18,379
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12	1,895	3,922
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,982	33,042
სულ მიმდინარე აქტივები		62,592	102,666
სულ აქტივები		146,052	211,604
წმინდა აქტივები			
სათავო ოფისის ანგარიში	14	145,932	149,123
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(123,977)	(56,719)
სულ წმინდა აქტივები		21,955	92,404
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	15	62,053	62,053
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		62,053	62,053
მიმდინარე ვალდებულებები			
მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი		-	3,536
საიჯარო ვალდებულებები	8	23	492
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	62,021	53,119
სულ მიმდინარე ვალდებულებები		62,044	57,147
სულ ვალდებულებები		124,097	119,200
სულ წმინდა აქტივები და ვალდებულებები		146,052	211,604

დამტკიცებულა გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

მა ჯინ




10-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	17	86,033	206,759
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	17	(153,108)	(299,192)
შემდგომი პერიოდის მოგება/(ზარალი)	17	3,536	25,784
საერთო მოგება/(ზარალი)		(63,539)	(66,649)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(2,944)	(3,351)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	19	544	879
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	20	(1,172)	53,792
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(147)	(893)
მოგება დაბეგვრამდე		(67,258)	(16,222)
მოგების გადასახადი	21		
წლის წმინდა მოგება		(67,258)	(16,222)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(67,258)	(16,222)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მა ჯინ

ვე ხინფინგ

7-27 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	17	86,033	206,759
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	17	(153,108)	(299,192)
შემდგომი პერიოდის მოგება/(ზარალი)	17	3,536	25,784
საერთო მოგება/(ზარალი)		(63,539)	(66,649)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(2,944)	(3,351)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	19	544	879
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	20	(1,172)	53,792
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(147)	(893)
მოგება დაზღვრამდე		(67,258)	(16,222)
მოგების გადასახადი	21		
წლის წმინდა მოგება		(67,258)	(16,222)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(67,258)	(16,222)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

მა ჯინ



10-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სათავო ოფისის ანგარიში	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ წმინდა აქტივები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	133,462	(40,497)	92,965
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(16,222)	(16,222)
სათავო ოფისში გადარიცხვის ტრანზაქციები	-	-	
სათავო ოფისიდან გადმორიცხვის ტრანზაქციები	15,661	-	15,661
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	149,123	(56,719)	92,404
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(67,258)	(67,258)
სათავო ოფისში გადარიცხვის ტრანზაქციები	(3,191)	-	(3,191)
სათავო ოფისიდან გადმორიცხვის ტრანზაქციები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	145,932	(123,977)	21,955

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მა ჯინ

ვუ ხინფინგ

7-27 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
 განუყოფელი ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სათავო ოფისის ანგარიში	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ წმინდა აქტივები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	133,462	(40,497)	92,965
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(16,222)	(16,222)
სათავო ოფისში გადარიცხვის ტრანზაქციები	-	-	
სათავო ოფისიდან გადმორიცხვის ტრანზაქციები	15,661	-	15,661
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	149,123	(56,719)	92,404
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(67,258)	(67,258)
სათავო ოფისში გადარიცხვის ტრანზაქციები	(3,191)	-	(3,191)
სათავო ოფისიდან გადმორიცხვის ტრანზაქციები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	145,932	(123,977)	21,955

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

მა ჯინ



10-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის წმინდა მოგება		(67,258)	(16,222)
კორექტირებები:			
ცვეთა	5-8	13,068	14,481
შემდგომი პერიოდის ზარალი	17	(3,536)	(25,784)
შემოსავალი წილობრივი აღიარების შესაბამისად		18,262	83,853
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	20	1,172	(53,792)
საპროცენტო ხარჯი	19	21	78
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:			
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		12,689	(8,670)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (ზრდა)/შემცირება		2,027	6,117
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		6,320	33,487
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(17,235)	33,548
გადახდილი პროცენტი		(21)	(78)
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(17,256)	33,470
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9,088)	(1,269)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(9,088)	(1,269)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(490)	(754)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(490)	(754)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		(26,834)	31,447
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		33,042	4,596
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	20	(1,226)	(3,001)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		4,982	33,042

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

მა ჯინ

ვუ ხინფინგ

7-27 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის წმინდა მოგება		(67,258)	(16,222)
კორექტირებები:			
ცვეთა	5-8	13,068	14,481
შემდგომი პერიოდის ზარალი	17	(3,536)	(25,784)
შემოსავალი წილობრივი აღიარების შესაბამისად		18,262	83,853
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	20	1,172	(53,792)
საპროცენტო ხარჯი	19	21	78
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:			
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		12,689	(8,670)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (ზრდა)/შემცირება		2,027	6,117
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		6,320	33,487
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(17,235)	33,548
გადახდილი პროცენტი		(21)	(78)
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(17,256)	33,470
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9,088)	(1,269)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(9,088)	(1,269)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(490)	(754)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(490)	(754)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		(26,834)	31,447
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		33,042	4,596
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	20	(1,226)	(3,001)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		4,982	33,042

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს:

გენერალური დირექტორი

მა ჯინ



10-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში” (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2018 წლის 26 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (205368029). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაზისუბნის ქ. N36.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ხიდებისა და გზების სამშენებლო სამუშაოები. ფილიალი დააფუძნა ჩინეთში რეგისტრირებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ Hunan Road & Bridge Construction Group-მა.

ჩინეთში რეგისტრირებული Hunan Road & Bridge Construction Group-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოში კომპანიის ფილიალს უფლებამოსილი წარმომადგენელი და გენერალური დირექტორი არის ჯინ მა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 620-ს (2022 წ.: 939 თანამშრომელი).

2 საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორიც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და ექვევა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის გავლენის ქვეშ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

3 სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

• დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

**შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)**

• დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

• დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს. შემოსავალი და ხარჯები სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარდა, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ოპერაციები კომპანიის მფლობელებთან აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი უფრო სასარგებლო ინფორმაციას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მკითხველებს, რადგან ის უკეთ ასახავს ბიზნეს ოპერაციებს.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებების გაქვითვა ხდება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ანაზღაურების კანონიერად აღსასრულებელი უფლება და არსებობს სურვილი აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

ნაგებობები	20-30 წელი
მანქანა-დანადგარები	2-10 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-5 წელი
მძიმე ტექნიკა	4-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არა ცვეთადი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთლიან მომსახურების ვადის მანძილზე. ამორტიზაციის პერიოდი შეადგენს 10 წელს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივია. ასეთი ანგარიშები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და გაუფასურებას განსაზღვრავს მისი მთელი სასიცოცხლო ციკლის საფუძველზე.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ძირითადი სატენდერო კონტრაქტის წინასწარ დათქმული ფასის ნაწილი სავალუტო რისკების შემცირების მიზნით ფორვარდულ სავალუტო ოპერაციას მოიცავს. ეს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტი იწყებს ფუნქციონირებას (როდესაც კომპანიას უზნდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გზების დეპარტამენტთან დადებული სამშენებლო ხელშეკრულებიდან) და შემდეგ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აღირიცხება ფინანსურ აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ფინანსურ ვალდებულებებად - როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი ორივე მხარის მიერ, რომ მოხდეს ერთი და იგივე შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოთხოვნები მოიცავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომელიც წარმოქმნილია ფაქტიურად დადასტურებული შემოსავლის შესაბამისად. მოთხოვნები ასევე მოიცავს კონტრაქტიდან მისაღებ მოთხოვნებს რომელიც წარმოქმნილია გაწეულია დანახარჯების პროპორციით აღიარებული შემოსავლის შესაბამისად მენეჯმენტის მსჯელობის საფუძველზე ფასს 15-ის მიხედვით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, რომლებიც გამოიყენება მშენებლობის პროცესში. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არა ბრუნვადი მარაგები არ არსებობს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი სამეწარმეო პროცესისათვის დადგენილი მიახლოებული გასაყიდი ფასი, პროდუქციის დაკომპლექტებისა და გაყიდვის ორგანიზაციისათვის საჭირო მოსალოდნელი მიახლოებითი დანახარჯების გამოკლებით.

დასრულებულ და მიმდინარე პროექტების თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ზედნადებ ხარჯებს რაც დაკავშირებულია პროექტების თვითღირებულებათა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულება

სავაჭრო და სხვა ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;

3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

მიღებული ავანსები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მიღებული ავანსები მოიცავს კონტრაქტის პირობების შესაბამისად მიღებულ თანხებს, რომელიც პერიოდის ბოლოს არ არის გაქვითული მიმდინარე დებიტორულ დავალიანებასთან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შემოსავლები

კომპანიის შემოსავლების აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

კომპანია იყენებს ფასს 15-ის 5 ეტაპიან მოდელს დაფუძნების თარიღიდან, 2018 წლის 26 ნოემბერიდან კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი აღიარდება კომპენსაციის იმ მოცულობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ვინაიდან კომპანიას ჰყავს ერთი დამკვეთი, ის ახდენს კონტრაქტების იდენტიფიცირებას; ახდენს შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირებას; ადგენს გარიგების ფასს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც ცვლად კომპენსაციებს, ასევე ფულის დროით

ღირებულებას; ახდენს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე; აღიარებს შემოსავალს იმ მომენტში, როდესაც ასრულებს გარიგებით დადგენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

კომპანიის გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტი მოიცავს საქართველოში ხიდების და გზების აშენების/გაყვანის სამუშაოებს. აღნიშნული კონტრაქტი გაფორმებულია მშენებლობის დაწყებამდე, და კომპანიის მიერ დამკვეთისთვის შესასრულებელი ვალდებულება სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავლებს კომპანია აღიარებს „შესრულების მეთოდის შესაბამისად“, იმისდა მიხედვით თუ კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში რა ოდენობის ხარჯი აქვს გაწეული კომპანიას, საანგარიშგებო პერიოდში ფაქტიურად გაწეული ხარჯების პროპორციულად.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასაწევი ხარჯის რაოდენობა რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასაწევი.

იმ შემთხვევაში როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არაა შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ გაწეული ხარჯების ტოლი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში.

სამშენებლო კონტრაქტების აღრიცხვის აღნიშნული მეთოდი კომპანიის საქმიანობისათვის სამართლიანია, ვინაიდან პროექტის განხორციელების პირველ წლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულება არსებითად აღემატება ფაქტიურად დადასტურებულ შემოსავლებს, შემოსავლის აღიარება განხორციელდა მთლიანი ხარჯთაღრიცხვის ბიუჯეტის იმ პროპორციის შესაბამისად რაც ფაქტიურად იყო გაწეული საანგარიშო წლის განმავლობაში.

პოლიტიკის შესაბამისად კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას, აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის მომენტში ფიქსირებული ფასით, ან საათობრივი განაკვეთის შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარებულია მისი მიღებისას ან როდესაც დადგენილია გადახდის მიღების უფლება.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს პროექტის თვითღირებულების შემადგენელ ხარჯებს, როგორცაა პირდაპირი მასალების ხარჯები, პირდაპირ

**შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)**

ხელფასებს, საპროექტო მომსახურების ხარჯებს, საბანკო გარანტიებზე გადახდილ თანხებს და სხვა ხარჯებს.

საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც ხორციელდება პროექტით განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად, რომლის შეუსრულებლობაც მყისიერად არ შეაფერხებს ძირითადი სატენდერო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი	
	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023	2.6287	2.8436
საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2022	3.0640	2.9099

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადს კომპანია ადგენს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს (გარდა სსკ-ის 981-ე და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველო). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობა საგადასახადო აქტივებს/ვალდებულებებსა და საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს საგადასახადო ორგანოებს, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. დღგ-ს ინვოისის მიღებისას შეყვანის დღე, როგორც წესი, ერიცხება გამომავალ დღგ-ს. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს გადახდის წმინდა საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც ხდება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღიარებულია მომავალი მთლიანი ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

ახალი და შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები, რომელთა მიღება არ არის სავალდებულო არ იქნება დანერგილი კომპანიის მიერ.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია: ეს ცვლილება გამოიცა 2020 წლის იანვარში, ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი პერიოდებისთვის.

შესწორებები:

- ქმნის ახალ განყოფილებას ვალდებულების მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიზნით.

ანგარიშსწორება გულისხმობს კონტრაგენტზე გადაცემას, რაც იწვევს ვალდებულების დაფარვას, რომელიც შეიძლება იყოს ნაღდი ფულით, სხვა ეკონომიკური რესურსით ან ერთეულის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით;

- განმარტავს რომ ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს იმის ალბათობა, რომ ერთეული გამოიყენებს ვალდებულების გადახდის უფლებას საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე 12 თვე და ამის ნაცვლად ფოკუსირებულია გადახდის გადავადების უფლებებზე, რომლებიც არსებითია და არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

- განმარტავს, რომ თუ ანგარიშსწორების გადავადების უფლება ექვემდებარება სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ პირობებს (ანუ შეთანხმებებს), უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთეული აკმაყოფილებს ამ პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები: ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები ცვლის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდში. სტანდარტის მიზანი არის ფასს 17.1-ის მიხედვით პრინციპების ჩამოყალიბება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, შეფასების, წარმოდგენისა და გამჟღავნების შესახებ, რომლებიც შედის ფასს 17-ის ფარგლებში.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ნაგებობები	დაუმონტაჟებელი მოწყობილობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	მძიმე ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარი	687	5,283	393	33,538	1,629	36,830	4,716	83,076
შესყიდვა	-	55	-	1,646	190	151	-	2,042
გასვლა	-	-	-	(1,290)	-	-	-	(1,290)
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	687	5,338	393	33,894	1,819	36,981	4,716	83,828
შესყიდვა	-	-	-	5,843	1,465	2,911	117	10,336
გასვლა	-	-	-	(239)	-	-	(106)	(345)
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	687	5,338	393	39,498	3,284	39,892	4,727	93,819
ცვეთა 2022 წლის 1 იანვარი	-	(2,479)	-	(11,612)	(799)	(13,491)	(1,900)	(30,281)
ცვეთის ხარჯი	-	(1,194)	-	(5,632)	(378)	(6,001)	(590)	(13,795)
გასვლა	-	-	-	517	-	-	-	517
ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(3,673)	-	(16,727)	(1,177)	(19,492)	(2,490)	(43,559)
ცვეთის ხარჯი	-	(967)	-	(5,952)	(562)	(4,602)	(560)	(12,643)
გასვლა	-	-	-	215	-	-	84	299
ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(4,640)	-	(22,464)	(1,739)	(24,094)	(2,966)	(55,903)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	687	2,804	393	21,926	830	23,339	2,816	52,795
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	687	1,665	393	17,167	642	17,489	2,226	40,269
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	687	698	393	17,034	1,545	15,798	1,761	37,916

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია დაგირავებული ძირითადი საშუალებები ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)

7. დაუმთავრებელი მშენებლობა

კომპანიის მიერ სატენდერო მშენებლობასთან დაკავშირებული შემოსავალის აღიარებული ნაწილი ბალანსში წარმოდგენილია, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც ანგარიშგების წლისთვის ინჟინერის მიერ სამშენებლო სერთიფიკატი არ გამოწერილა ან/და ანგარიშსწორება არ მომხდარა ძირითადი კონტრაქტორისგან.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დაუმთავრებელი მშენებლობა სულ	824,033	686,221	467,451
შემცირებული წინა პერიოდების შესრულებით	(805,851)	(649,799)	(347,255)
დაუმთავრებელი მშენებლობა წლის ბოლოს	18,182	36,422	120,196

8. აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მშენებლობასთან დაკავშირებული და ადმინისტრაციული მიზნობრიობის მქონე შენობა, მიწა, და დანადგარები. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებულ პერიოდების გამოყენებით 1-დან 3 წლამდე, ამასთან კომპანიის ხელმძღვანელობის რწმუნებით ხელშეკრულებები იქნება აქტიური სანამ კომპანია საქართველოს ბაზარზე მიმდინარე სამშენებლო პროექტს ახორციელებს.

2018 წლის 31 დეკემბრამდე ძირითადი საშუალებების იჯარები საოპერაციო იჯარად იყო კლასიფიცირებული. 2019 წლის 1 იანვრიდან იჯარების ძირითადი ნაწილი აღიარდა, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ მომენტიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.

აქტივის გამოყენების უფლება	აქტივები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	1,125
დამატება	-
ცვეთის ხარჯი	(686)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	439
დამატება	-
ცვეთის ხარჯი	(425)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	14
საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	1,228
დამატება	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	78
გადახდა	(814)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	492
დამატება	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	21
გადახდა	(490)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	23

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობა შეყვანილია კომპანიის იჯარების ხელშეკრულებებში. ისინი გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალიზაციისთვის, კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის კუთხით.

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული სტატისტიკური ინფორმაცია.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან	28,462	38,000
გრძელვადიანი მოთხოვნები სატენდერო კონტრაქტის საგარანტიო თანხიდან	27,348	31,807
სხვა მოთხოვნები	3,414	2,254
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,224	72,061

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან მოიცავდა კომპანიის ხელმძღვანელობის მსჯელობის საფუძველზე შემოსავლების აღიარებას გაწეული ფაქტობრივი ხარჯების პროპორციულად.

2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიას ფინ. ინსტრუმენტებისათვის არ შეუქმნია მოსალოდნელი უიმედო ვალის ზარალი, რადგან ხელმძღვანელობის რწმუნებით კონტრაგენტების მაღალი რეიტინგისა და პროექტის სატენდერო შეთანხმების საფუძველზე თანხების მიღება მოხდება სრულად, პროექტის დასრულებისთანავე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

10. საგადასახადო აქტივები, ნეტო

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი მოიცავს კომპანიის მიერ ავანსად მიღებულ 20%-იან დაფინანსებაზე გადახდილ დამატებითი ღირებულების გადასახადს, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 6,663 ათასი ლარის ოდენობით. (2022: 7,069 ათასი ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

11. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	17,176	18,379
სულ გადახდილი ავანსები	17,176	18,379

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავდა პროექტის მიხედვით მასალების და სხვა საჭირო ინვენტარის შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული სამშენებლო მასალები	1,038	2,721
დამხმარე მასალები	857	1,201
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,895	3,922

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია დაგირეგებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ ჰქონია უმოძრაო მარაგები.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული სალაროში ადგილობრივ ვალუტაში	10	338
ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	262	201
ფული ბანკში ადგილობრივ ვალუტაში	334	518
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	4,376	31,985
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,982	33,042

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული ბანკში მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს კომერციულ ბანკებში, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარის ნაშთზე არის 5%-დან 5.5%-მდე, ხოლო დოლარის ნაშთზე 0.2%-დან 0.5%-მდე.

14. სათავო ოფისის ანგარიში

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სათავო ოფისიდან მიღებული თანხების საწყისი ნაშთი	149,123	133,462
სათავო ოფისში გადარიცხვის ტრანზაქციები	(3,191)	
სათავო ოფისიდან გადმორიცხვის ტრანზაქციები	-	15,661
სათავო ოფისიდან მიღებული თანხების საბოლოო ნაშთი	145,932	149,123

15. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიღებული ავანსები	62,053	62,053
სულ მიღებული ავანსები	62,053	62,053

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული ავანსი წარმოადგენს დამკვეთის (საქართველოს გზების დეპარტამენტის) მიერ სამტრედია-გრიგოლეთის პროექტზე ჩარიცხულ თანხებს პროექტის დასაწყებად, რომლის გაქვითვაც დაიწყება 2024 წლიდან.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ვალდებულებები უცხოურ მომწოდებელთან	32,123	17,284
ვალდებულებები ადგილობრივ მომწოდებელთან	27,348	33,446
გადასახდელი ხელფასები	1,940	2,125
სხვა	610	263
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	62,021	53,119

17. შემოსავლები

	2023	2022
შემოსავალი კონტრაქტებიდან	86,033	206,759
მთლიანი შემოსავალი	86,033	206,759
ნედლეული და მასალები	(70,292)	(189,445)
ხელფასის ხარჯი	(17,932)	(33,118)
ქვეკონტრაქტორების მომსახურეობა	(25,441)	(22,933)
ცვეთა და ამორტიზაცია	(12,971)	(14,369)
საწვავი	(11,345)	(20,916)
საბანკო გარანტიის საკომისიო ხარჯი	(1,170)	(2,211)
საკონსულტაციო ხარჯები	(4,109)	(10,530)
პროექტის დაზღვევა	(66)	(99)
ტრანსპორტირების ხარჯი	(2,647)	(2,294)
იჯარის ხარჯი	(895)	(1,342)
სხვა ხარჯები	(6,240)	(1,935)
მთლიანი საკონტრაქტო ხარჯები	(153,108)	(299,192)
საერთო მოგება	(67,075)	(92,433)

**შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)**

შემოსავალი კონტრაქტებიდან მოიცავს ძირითადი სატენდერო კონტრაქტიდან მიღებულ შემოსავალს, ასევე მენეჯმენტის მსჯელობაზე დაყრდნობით ხარჯის პროპორციული მეთოდით აღიარებულ ნაწილს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელფასის ხარჯები მოიცავდა როგორც ადგილობრივი ისე ჩინელი თანამშრომლების ანაზღაურებას რომელიც დაკავშირებულია პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ხარჯები მოიცავდა ხიდისა და გზის მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს როგორებიცაა მივლინება, კომუნალურები და სხვა. ამავე წელს ქვეკონტრაქტორების მომსახურება მოიცავდა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებულ სადისკონტინენტო მომსახურებას.

თვითღირებულების ხარჯები მოიცავს მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯებს და სხვა ისეთ ხარჯებს რომელიც არ არის გაწეული პროექტის მშენებლობის ბიუჯეტის ფარგლებში, მაგრამ მიეკუთვნება თვითღირებულების ხარჯებს და გამოიყენება შემოსავლის პროპორციულად გაანგარიშების დროს.

ძირითადი სატენდერო პროექტების სავარაუდო დასრულების ვადაა 2024 და 2025 წლები, პროექტის შემოსავალი მოიცავს გამოყენებული რესურსების მეთოდის მიხედვით ძირითადი სატენდერო კონტრაქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების, რეალურად გაწეული ხარჯების პროპორციულად აღიარებულ შემოსავლებს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვებული შემოსავლები და ხარჯები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2023	2022
საკონტრაქტო შემოსავალი		
სულ შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	689,144	603,111
შემცირებული: წინა პერიოდის შემოსავალით	(603,111)	(396,352)
2023 წლის საკონტრაქტო შემოსავალი	86,033	206,759
საკონტრაქტო ხარჯი		
სულ საკონტრაქტო ხარჯი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	(887,107)	(733,999)
შემცირებული: წინა პერიოდის ხარჯით	733,999	434,807
2023 წლის საკონტრაქტო ხარჯები	(153,108)	(299,192)

შემდგომი პერიოდის მოგება/(ზარალი)

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, მენეჯმენტი სისტემატურად ახდენს გარე და შიდა ფაქტორების მონიტორინგს შემოსავლებსა და ხარჯების პროგნოზებში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებისათვის.

კოვიდპანდემიის ზემოქმედების ხანგრძლივი და სისტემური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ უზისა-ხევის პროექტი გახდა ზარალიანი. მოხდა მოსალოდნელი ზარალის გადაანგარიშება და მისი მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 151,144,558 ლარით.

შემდგომი პერიოდის ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარდება ხარჯის ამორიცხვად (შემოსავლად), ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კრედიტის ნაწილში - მოსალოდნელი ზარალის ანარცხის შემცირებად.

რეკონსილაცია ნაჩვენებია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	29,320
ზრდა/(შემცირება)	(25,784)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,536
ზრდა/(შემცირება)	(3,536)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-

2023 წელს უზისა-ხევის პროექტზე სატენდერო შემოსავალი პრაქტიკულად სრულად იქნა აღიარებული. ამდენად, შემოსავალთან ფაქტიური ხარჯების შეპირისპირებით აღიარდა ფაქტობრივი ზარალი და მოსალოდნელი ზარალის რეზერვი (3,535,391 ლარი) ანუღირებულია.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)

18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2023	2022
საკონსულტაციო ხარჯები	1,291	1,641
შრომის ანაზღაურება	847	858
კომუნალური ხარჯები	235	107
სამეურნეო ხარჯი	176	219
ცვეთა და ამორტიზაცია	97	112
კომუნიკაციის ხარჯები	84	111
ბანკის საკომისიო	63	78
კომპიუტერის ხარჯები	60	29
საკანცელარიო ხარჯი	43	28
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	48	168
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2,944	3,351

2023 წლის აუდიტის მომსახურების საფასური დღგ-ის ჩათვლით შეადგენს 30,000 ლარს (2022 წ.: 30,000 ლარს).

19. ფინანსური შემოსავალი, წმინდა

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	565	957
საპროცენტო ხარჯი	(21)	(78)
სულ ფინანსური შემოსავალი, წმინდა	544	879

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე დარიცხულ პროცენტს. საპროცენტო განაკვეთების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-13 განმარტებითი შენიშვნაში.

20. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	2023	2022
ფინანსური ინსტრუმენტების ვაჭრომიდან მიღებული შემოსავალი	1,813	26,837
ფინანსური ინსტრუმენტების ვაჭრომიდან მიღებული ზარალი	(1,961)	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	2,114	277,936
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(3,138)	(250,981)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(1,172)	53,792

გასულ საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) შემცირებულია, ვინაიდან 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში უცხოური ვალუტა, რომელშიც კომპანია მნიშვნელოვნად ახორციელებს გარკვეულ ტრანზაქციებს, შედარებით ნაკლებად ცვლადი იყო.

21. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით (ასევე ცნობილი როგორც დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად ცვლის დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან იმ მომენტამდე, როდესაც ხდება მისი განაწილება. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული. მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დღგ-სთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველისგან წინასწარ მიღებული თანხის ოდენობა უნდა დაექვემდებაროს დღგ-ს. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ არ განაწილა დივიდენდი, შესაბამისად არ წარმოეშვა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

22. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომელიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფის დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე - კომერციული ბანკი დგება გარანტორად პროექტის მსვლელობის განამჯობაში დამკვეთის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულების დაფარვაზე, თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევა დადგება შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილში.

პროექტის ფარგლებში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესრულების გარანტიები წარმოადგენდა სათავო კომპანიის წინაშე ვალდებულებებს. ვალდებულება წარმოიშვება სათავო კომპანიის მიერ კომერციულ ბანკებთან ანგარიშსწორების მომენტიდან. აღნიშნული გარანტიების საფუძველზე ხდება პასუხისმგებლობის აღება ძირითად სატენდერო ხელშეკრულებაში მოცემული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია რაიმე გაუთვალისწინებელი და მატერიალური ვალდებულება, გარდა ზემოთ მოცემული ინფორმაციისა.

23. სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სამართლიანი ღირებულებები კატეგორიზებულია სხვადასხვა დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია შეფასების მონაცემები და მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების მონაცემების მნიშვნელობა:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია

**შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)**

სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითაა მათი საბალანსო ღირებულებასთან.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე გარდა ფული და ფულის ეკვივალენტებისა რომელიც კლასიფიცირებულია პირველ იერარქიაში.

24. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია საქმიანობის ფარგლებში ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

- **საკრედიტო რისკი:** დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - **საპროცენტო რისკი;**
 - **სავალუტო რისკი.**

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება, აღწერილია ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,982	33,042
საგადასახადო აქტივები, ნეტო	6,663	7,069
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,224	72,061
სულ ფინანსური აქტივები	70,869	112,172
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	62,021	53,119
საიჯარო ვალდებულება	23	492
სულ ფინანსური ვალდებულებები	62,044	53,611

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი არ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (სავაჭრო მოთხოვნები) და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (საბანკო ნაშთები).

საკრედიტო რისკი ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის პოზიცია:

	1 წელზე <	1 დან 5 წლამდე	5 წელზე >	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,982	-	-	4,982
საგადასახადო აქტივები, ნეტო	6,663	-	-	6,663
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31,876	27,348	-	59,224
სულ ფინანსური აქტივები	43,521	27,348	-	70,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	62,021	-	-	62,021
საიჯარო ვალდებულება	23	-	-	23
სულ ფინანსური ვალდებულებები	62,044	-	-	62,044
ბალანსი, ნეტო	(18,523)	27,348	-	8,825

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის პოზიცია:

	1 წელზე <	1 დან 5 წლამდე	5 წელზე >	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,042	-	-	33,042
საგადასახადო აქტივები, ნეტო	7,069	-	-	7,069
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40,254	31,807	-	72,061
სულ ფინანსური აქტივები	80,365	31,807	-	112,172
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	53,119	-	-	53,119
საიჯარო ვალდებულება	492	-	-	492
სულ ფინანსური ვალდებულებები	53,611	-	-	53,611
ბალანსი, ნეტო	26,754	31,807	-	58,561

გეპის ანალიზის წარდგენისა და კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის შემდეგი ძირითადი პრინციპები ეფუძნება შემდეგ მეთოდების ერთობლიობასა და ბანკის პრაქტიკას:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს მაღალი ლიკვიდურობის აქტივებს და კლასიფიცირებულია როგორც „მოთხოვნამდე, 1 თვემდე ან ნაკლები“;
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ, სხვა აქტივები, ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სხვა ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული ვალი და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია გასვლების ანალიზის ცხრილში, ხელშეკრულებების მიხედვით დარჩენილი ვადების მიხედვით;

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს მოიცავს პროცენტთან სესხებს და ფულადი სახსრების ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნეტო მონეტარული აქტივების ცვლილების ანალიზი და შედეგად მათი ზემოქმედება მოგება ზარალზე და კაპიტალზე თუ გაცვლითი კურსები შეიცვლება ქვემოთ მოცემული საპროცენტო განაკვეთით:

შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 31 დეკემბერი 2023
 (ათას ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2023	
	ლარში	დოლარში
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	344	4,638
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,371	28,853
სულ ფინანსური აქტივები	30,715	33,491
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,246	34,775
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,246	34,775
წმინდა პოზიცია	3,469	(1,284)

	31 დეკემბერი 2022	
	ლარში	დოლარში
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	856	32,186
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	38,749	33,312
სულ ფინანსური აქტივები	39,605	65,498
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30,301	22,818
სულ ფინანსური ვალდებულებები	30,301	22,818
წმინდა პოზიცია	9,304	42,680

	31-12-2023	31-12-2022
	გავლენა მოგება/ (ზარალზე)	გავლენა მოგება/ (ზარალზე)
აშშ დოლარის პროცენტული ზრდა 10%-ით	(43)	(1,436)
აშშ დოლარის პროცენტული შემცირება 10%-ით	43	1,436

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას არ აქვს სესხები, შესაბამისად კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს.

25. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის

**შპს “ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
31 დეკემბერი 2023
(ათას ქართულ ლარში)**

რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავე ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავე ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები:	2023	2022
მომსახურების შესყიდვა	617	457
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(827)	28,372

ნაშთები:	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	133,462	149,123
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	720	603
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვა	5,557	4,879

	2023	2022
მენეჯმენტისა და მმართველი რგოლის ანაზღაურება	950	830

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“

2023 წლის მმართველობის ანგარიშგება

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) ს/კ: 205368029, შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფუძნებული ჩინური კომპანიის- Hunan Road & Bridge Construction Group Company limited (სარეგისტრაციო ნომერი: 91430003763N) მიერ. კომპანიის საქართველოში რეგისტრაცია განხორციელდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 10 მაისს.

კომპანიის მიმართ ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, მოძრავ და არამატერიალურ ქონებაზე გირავნობის/ლიზინგის უფლება არ არის რეგისტრირებული. კომპანია არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟისუბნის ქ.# 36

გენერალური დირექტორი: მა ჯინ.

ძირითადი საქმიანობა

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების განხორციელება საქართველოში. საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ახორციელებს F2- ხევი-უბისა სექციის (E-60 ავტომაგისტრალის მარშრუტი) (ს/ნ: KURP/CW/OCB-01) და სამტრედია-გრიგოლეთის გზის მონაკვეთის მშენებლობის (E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, კმ 30+000 – კმ 42+000 (ლოტი III), საიდენტიფიკაციო ნომერი: EWHG/CW/ICB-03/01 სამშენებლო პროექტების სამუშაოებს. F2 სამშენებლო პროექტის დაფინანსება ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის მიერ, ხოლო ლოტი III-ის პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკი. ლოტი III პროექტის დაწყების თარიღია 2022 წლის 1 ნოემბერი. პროექტის I სექციის (30 + 000კმ – 36 + 000კმ) დასრულების ვადად განსაზღვრულია 670 დღე, ხოლო II სექციის (36 + 000კმ – 42 + 000კმ) დასრულების ვადაა 730 დღე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს და არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპანია HNRB-ის (Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd (ჩინეთი) <http://www.hnrb.cn/>) ფილიალი საქართველოში.

HNRB (Hunan Road and Bridge Construction Group Co., Ltd. (ჩინეთი)) ბაზარზე ფუნქციონირებს 1954 წლიდან. 1954 წლიდან დღემდე კომპანიის მიერ აშენებულია სხვადასხვა მასშტაბის და სირთულის 1000-ზე მეტი ხიდი, ჩქაროსნული გზები და მაღალი კლასის მაგისტრალები 5000 კმ საერთო სიგრძით, 170 კმ-ზე მეტი სიგრძის გვირაბები, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კომპანიის

რეგისტრირებული კაპიტალი შეადგენს 3 მილიარდ RMB-ს, ჯამური აქტივები აღემატება 24 მილიარდ RMB-ს. კომპანიამ მოახერხა "AAA" რეიტინგის შენარჩუნება უცხოური პროექტების კონტრაქტებთან დაკავშირებით ზედიზედ ექვსი წლის განმავლობაში და 2018 წლიდან 2023 წლამდე შედიოდა Engineering News-Record-ის „ტოპ 250 საერთაშორისო კონტრაქტორთა“ სიაში.

კომპანია ძირითადად სამშენებლო ბაზარზე ოპერირებს და მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- გზების, ხიდების, გვირაბების და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა;
- სამშენებლო მასალების წარმოება, მიწოდება და ვაჭრობა;
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;

განვითარების პერსპექტივები

კომპანია საქართველოში ფუნქციონირებს გრძელვადიანი საერთაშორისო სამშენებლო ინფრასტრუქტურული ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიმდინარე და სამომავლო შემოსავლების სტაბილურობას ანგარიშგების პერიოდებისათვის. თუმცა კოვიდ 19 პანდემიის გავრცელებამ ბოლო სამი წლის განმავლობაში უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

კომპანიის მიერ განხორციელდა არსებული და პოტენციური რისკების შეფასება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სამშენებლო სექტორში ფორსმაჟორული სიტუაციების დროს და რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებზე, ამიტომ მსგავსი ანალიზის ჩატარება მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების სასურველი დონის შესანარჩუნებლად.

2022 წლის 15 ივნისს საქართველოს მთავრობამ გააუქმა კოვიდ 19-ის შეზღუდვები ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლასთან დაკავშირებით. გაუქმდა თითქმის ყველა შიდა კოვიდ-19 შეზღუდვა, მათ შორის, პირბადის ტარების ვალდებულება უმეტეს დახურულ ადგილებში (გარდა სამედიცინო დაწესებულებებისა). 2023 წლის განმავლობაში პანდემია კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიაზე, რაც, მაგალითად, იწვევს პროექტის შესრულების განრიგის შეფერხებას და შრომითი ხარჯების ზრდას.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური რისკებით გამოწვეული შეზღუდვები, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოახდინათ ბალანსის შემდგომი პერიოდის ოპერაციებზე. კომპანიის ანგარიშგების და ოპერაციების შესაბამისად ქვემოთმოცემული პოზიციების მიმართ მატერიალური რისკები არ გამოვლენილა:

- შემოსავლების შემცირება;
- გაუფასურებული ან ვადაგასული მარაგების ჭარბი რაოდენობით წარმოქმნა;
- მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური რისკები;
- არასაკმარისი სამუშაო ძალა;
- განვითარების გეგმების შეუსრულებლობა;
- მოთხოვნების არსებითი გაუფასურება;

- კომპანიის გადახდისუუნარობის შედეგად გამოწვეული ვალდებულებების ზრდა;
- ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური რისკების გავლენა.

F2 პროექტი ითვალისწინებს ხევი-უბისის 12.2 კმ-იან მონაკვეთზე ოთხზოლიანი გზის მშენებლობას. აღნიშნულ მონაკვეთზე იგეგმება 38 ახალი ხიდის (თბილისი- არგვეთა და არგვეთა-თბილისი) და 20 გვირაბის მშენებლობა. აგრეთვე მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი მიწები, შესაბამისი სადრენაჟე სისტემები. მიღებული იქნება მოძრაობის უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომები. აგრეთვე იგეგმება 3 სატრანსპორტო კვანძის მოწყობა. პირველი კვანძი მოეწყობა სოფ. ხუნევსა და ვერტყვიჭალას შორის, მეორე კვანძი- სოფ. საქასრიაში, ხოლო მესამე კვანძი- სოფ. ბორითში.

ხევი-უბისას მონაკვეთი ჩუმათელეთი-არგვეთას გზის ერთ-ერთი მონაკვეთია. პროექტის საერთო სიგრძე 52 კილომეტრს შეადგენს. იგი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში .

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდად განსაზღვრულია 2022 წლის ივლისი, ვინაიდან კონტრაქტის თანახმად შესრულების ვადები გათვალისწინებულია 1080 დღეში. პროექტის დაწყების შეფერხების, აგრეთვე მისი მოსამზადებელი სამუშაოების დაგვიანებისა და პანდემიის ზემოქმედებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ F2 პროექტის სატრანსპორტო ხაზის სრული გახსნა დასრულდება 2023 წლის 28 ოქტომბერს და დაიწყება ხარვეზებზე პასუხისმგებლობის ვადა (კონტრაქტის თანახმად- 2 წელი).

ლოტი III პროექტი ითვალისწინებს სამტრედია-გრიგოლეთის ახალი ოთხზოლიანი გზატკეცილის მშენებლობას, საერთო სიგრძით 12 კმ. ლოტი III იწყება PK 300+00 (კმ 30+00) მონაკვეთიდან, ლოტი 2-ის ბოლოს, ლანჩხუთში, სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მარცხენა მხარეს და მთავრდება PK 420+00-ზე (კმ 42+00) მონაკვეთზე- ლოტ 4-ის დასაწყისთან. სექცია მოიცავს:

- 44 ბეტონის კონსტრუქციას;
- 3 ხიდს;
- 3 ესტაკადას;
- 18 რკინაბეტონის მილს;
- 13 გადასასვლელს საქონლისაგან;
- 7 რკინაბეტონის მილში გამავალ სოფლის გზას;

ზემოხსენებული პროექტისათვის თანხების გამოყოფა ძირითადად განხორციელდა ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან. აღნიშნული თანხა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში შეადგენს 324,600,318.11 ლარს. პროექტი დაიწყო 2022 წლის 1 ნოემბერს და დასრულდება ორ ნაწილად. პირველი 6 კმ-ის მშენებლობის ვადაა 670 დღე, ხოლო მომდევნო 6 კმ-ის- 730 დღე, ხოლო ხარვეზებზე პასუხისმგებლობის ვადა შეადგენს 730 დღეს.

2024 წელს საპროექტო დეპარტამენტის მიერ ყურადღება გაამახვილდება მშენებლობის პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევაზე, წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასა და სამშენებლო პროგრესის დაჩქარებაზე. გარდა ამისა, დამკვეთს მივმართავთ პროექტის ვადების გახანგრძლივების თაობაზე და მაქსიმალურად შევეცდებით პროექტის უმოკლეს ვადებში დასრულებას.

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივები:

- პროექტების შედეგად ახალი საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს შეეძლება გადაადგილება განახლებული, კომფორტული და ბევრად უსაფრთხო გზით. შემცირდება მგზავრობის დრო და ხარჯები;
- შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მიმდინარე და განხორციელებული პროექტების მომსახურების სანდოობისა და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმებისა და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, მისი დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- მატერიალური და არამატერიალური აქტივების ეფექტური გამოყენება .

სოციალური და დასაქმების საკითხები

პროექტების განხორციელებისა და კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალის კმაყოფილების დონის შენარჩუნება. კომპანიაში აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. პერსონალთან მუშაობა იწყება მათი მიღების დღიდან. პირველ ეტაპზე დასაქმებულისათვის ხდება კომპანიის შინაგანაწესის გაცნობა, შემდეგ კი სამუშაოს ინსტრუქციისა და უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პერსონალის აყვანა ხდება გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. კომპანიამ მომუშავე პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით შეიმუშავა ბონუსების სისტემა, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და აგრეთვე სხვადასხვა სადაზღვევო პაკეტი.

საწარმოში ანაზღაურება არის როგორც ყოველთვიური, ასევე საათობრივი, ყოველდღიური და შესრულებული სამუშაოს პროპორციული. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია არსებული გამოცდილების შესაბამისად და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და სამუშაოს ხარისხიან და დროულ შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაცვა. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, აღნიშნულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში კი ხდება მისი გაფრთხილება, რიგ შემთხვევებში კი-სამსახურიდან გათავისუფლება .

კომპანიის მენეჯმენტი ფუნქციონირებს საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად და აგრეთვე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანამშრომლების რეგულარულ, ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანია მისი უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით. შესაბამისად, კომპანია ახდენს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ადმინისტრირებას და მათი პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებითა და მოდულებით, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით .

კომპანია პერიოდული ინსპექციების განხორციელების გზით ასრულებს სამუშაო ადგილებზე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ მის საერთაშორისო ვალდებულებებს.

კომპანიის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამაკაცია. ამ ეტაპზე მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი ძირითადად ადმინისტრაციულ პოზიციებზე არიან დასაქმებულნი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიაში არ ხდება კადრების გენდერული ნიშნით დასაქმება, ვინაიდან კომპანიის სისტემაში მიუღებელია დისკრიმინაცია ნებისმიერი ფორმით პერსონალის შერჩევისას, სამუშაო ადგილზე ან კომპანიის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით. კომპანია იზიარებს საერთაშორისო გამოცდილებას და ანტიკორუფციული სააგენტოების რეკომენდაციებს. კომპანიის სამუშაო ადგილზე დამონტაჟებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, აგრეთვე ხორციელდება სამუშაოების რეგულარული მონიტორინგი. დაწესებულებაში არიან თანამშრომლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობებს და კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიას თავისი არსებობის განმავლობაში არ ჰქონია ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ზომების მიღების საჭიროების გამოცდილება.

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი“ კომპანიის ფილიალი საქართველოში“ ფუნქციონირებს გამჭვირვალედ და საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში, აგრეთვე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანის უფლებათა საკითხების სათანადო შესწავლისა და დაცვის საკითხებში.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება კომპანიის თვითკონტროლი და მონიტორინგი. კონტროლის სისტემა წარმოადგენს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობას.

კომპანიის მიერ მონიტორინგის უზრუნველყოფა წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრის გზას:

- საწარმოს საქმიანობისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება;
- უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება;
- პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი კომპანიის მუშაობისას;
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტიანი მუშაობის მონიტორინგი.
-

კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს შემდეგი ადგილების მიმდებარედ:

- დაცულ ტერიტორიებთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებთან;
- პროექტი ხორციელდება სოფლების მიღმა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან;
- სხვა ტიპის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტებთან;

კომპანია მუდმივად ცდილობს თავიდან აიცილოს და მინიმუმამდე დაიყვანოს სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება, რაც აისახება კონკრეტულ ქმედებებში და

ეფექტიანი გეგმებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების გრძელვადიან განხორციელებაში. კომპანია იყენებს მართვის სისტემურ მიდგომებს (OMS) გარემოს დაცვის სფეროში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვაზე.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით კომპანია მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაშია. კომპანია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას გეგმავს კონტეინერის სისტემის გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვება. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან რეგულარულად გატანა ხდება ხარაგაულის დასუფთავების სამსახურის მიერ (F 2 პროექტისთვის), ხოლო ლოტი-3 პროექტზე ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნულს უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი (სარეგისტრაციო ნომერი: 433649322). სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება სამშენებლო ტერიტორიაზე გამოყოფილ სათავსოში შემდგომი გაუვნებელოების მიზნით.

სამშენებლო ტექნიკა გაივლის შესაბამის ტექნიკურ შემოწმებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ტერიტორიის ზეთებითა და საპოხი მასალებით დაბინძურება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიები ხელახლა დამუშავდება და აღდგება მისი სანიტარული მდგომარეობა.

განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და მოცულობის გათვალისწინების პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მომეტებული რისკებით. ამ მხრივ საქმიანობა არ განსხვავდება მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტებისაგან. სამუშაოს ზედამხედველობას გაუწევს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე. სამუშაო ადგილი მაქსიმალურად შეიზღუდება და დაცული იქნება გარე პირების მოხვედრისაგან.

დაგეგმილი საპროექტო ღონისძიებებიდან გამომდინარე ფართომასშტაბიანი ავარიების ან/და კატასტროფების რისკები არ არის მოსალოდნელი. ოპერაციის დასრულების შემდეგ მოხდება ტერიტორიის ზედაპირის ტექნიკური და ბიოლოგიურად რეკულტივაცია და მასზე განთავსდება რეკომენდირებული სისქის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. რისკების მართვის სისტემა იქმნება თითოეულ საიტზე, თითოეული პროექტისთვის. კომპანია რეგულარული ინტერვალებით აკონტროლებს საგარეო და საშინაო რისკებს. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის მეშვეობით ხდება პოტენციურად დადებითი ან უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ დაწესებულების საქმიანობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიქმნება

საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის შეცვლა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია პროექტის დაწყებისთანავე იძენს საჭირო მარაგებს ობიექტზე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის სწორედ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. თუმცა, ამგვარი მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მენეჯმენტი უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შემდგომში ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გაუმჯობესებას.

მენეჯმენტი მზად არის გაამჟღავნოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, დაადასტუროს კომპანიისთვის საოპერაციო რისკების არარსებობა და კრიზისის დროს ფულადი ნაკადების დაგეგმვის/გამომუშავების სამოქმედო გეგმები.

2020 წლის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ, რომლის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე პანდემიით გამოწვეული ზოგადი კრიზისული ვითარების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით.

2021 წელს საქართველომ ეპიდემიის მე-3, მე-4 და მე-5 ტალღები განიცადა. 2022 წლის 1 მარტიდან უცხო ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც არის სრულად ვაქცინირებული ან გააჩნია PCR ტესტის უარყოფითი შედეგი (მოქმედი 72 საათის განმავლობაში), საქართველოს საზღვრებში ნებადართული იქნებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის შიგნით არსებული ე.წ. „ჩაკეტვა“ აღარ იარსებებდა. 2022 წლის 2 მაისიდან პირბადის გამოყენების სავალდებულო წესი დარჩა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ყველა სხვა რეგულაცია საქართველოს მთავრობამ გააუქმა. 2022 წლის 15 ივნისიდან გაუქმდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში პირბადეების ტარების ვალდებულება, პირბადის გამოყენება მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში რჩება სავალდებულო.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პანდემიამ გავლენა მოახდინა ბალანსზე 2021-2022 წლებში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კომპანიის ძირითადი შემოსავლები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების განხორციელებიდან გამომდინარეობს და ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, შეზღუდვების მოხსნამდე კომპანიის შემოსავლების გენერირებაზე ზემოქმედება დიდწილად არ მომხდარა. შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ცხოვრება თანდათან უზრუნდება ჩვეულ რიტმს და სამშენებლო სამუშაოებზე პანდემიის გავლენა 2023 წელსაც შემცირდა.

მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეცვალა წლიური ბიუჯეტი და აგრძელებს მუშაობას ოპტიმიზებული ხარჯებით. ამასთან, უკრაინის კრიზისიდან გამომდინარე 2022 წელს ლარის კურსმა მნიშვნელოვანი რყევები განიცადა, რამაც ჩვენი კომპანიის ვალუტის გადამცვლელი ოპერაციების შეფერხება გამოიწვია. ბოლო ორი წლის განმავლობაში შრომისა და მასალების ფასები სხვადასხვა მაჩვენებლით

გაიზარდა. დიზელის ფასი გაიზარდა 30%-ით, ხოლო არმატურის, ხრეშისა და ცემენტის ფასმა მოიმატა 20%-40%-ით. მასალებისა და შრომის ფასების ზრდამ გავლენა მოახდინა მშენებლობის პროგრესსა და ფულადი სახსრების მიმოქცევაზე, რამაც გამოიწვია სახსრების დეფიციტი. საპროექტო დეპარტამენტის საწყისი სამშენებლო გეგმები შეფერხდა, რის შედეგადაც სამშენებლო პროგრესი შეფერხდა კონტრაქტის მოთხოვნებთან შედარებით.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მიერ რუსეთსა და ირანზე დაწესებული სანქციების გამო ქართულმა ბანკებმა დაამატეს რიგი შემზღუდველი პუნქტები უცხოურ ვალუტაში გადახდებისთვის, რაც ართულებს საქონლის შეძენას, ტრანსპორტირებას და გადახდას.

ეს ვითარება ჯერ კიდევ პროგრესირდება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დროს, რაც შეუძლებელს ხდის სამომავლო შედეგების ზუსტ პროგნოზირებას. მენეჯმენტი აგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში

გენერალური დირექტორი

მა ჯინი _____

თარიღი : 10/9/2024

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“

2023 წლის მმართველობის ანგარიშგება

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) ს/კ: 205368029, შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფუძნებული ჩინური კომპანიის- Hunan Road & Bridge Construction Group Company limited (სარეგისტრაციო ნომერი: 91430003763N) მიერ. კომპანიის საქართველოში რეგისტრაცია განხორციელდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 10 მაისს.

კომპანიის მიმართ ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, მოძრავ და არამატერიალურ ქონებაზე გირავნობის/ლიზინგის უფლება არ არის რეგისტრირებული. კომპანია არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაზისუბნის ქ.# 36

გენერალური დირექტორი: მა ჯინ.

ძირითადი საქმიანობა

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების განხორციელება საქართველოში. საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ახორციელებს F2-ხევი-უბისა სექციის (E-60 ავტომაგისტრალის მარშრუტი) (ს/ნ: KURP/CW/OCB-01) და სამტრედია-გრიგოლეთის გზის მონაკვეთის მშენებლობის (E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, კმ 30+000 – კმ 42+000 (ლოტი III), საიდენტიფიკაციო ნომერი: EWHG/CW/ICB-03/01 სამშენებლო პროექტების სამუშაოებს. F2 სამშენებლო პროექტის დაფინანსება ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის მიერ, ხოლო ლოტი III-ის პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკი. ლოტი III პროექტის დაწყების თარიღია 2022 წლის 1 ნოემბერი. პროექტის I სექციის (30 + 000კმ – 36 + 000კმ) დასრულების ვადად განსაზღვრულია 670 დღე, ხოლო II სექციის (36 + 000კმ – 42 + 000კმ) დასრულების ვადაა 730 დღე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია წარმოადგენს პირველი კატეგორიის საწარმოს და არის საერთაშორისოდ აღიარებული კომპანია HNRB-ის (Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd (ჩინეთი) <http://www.hnrb.cn/>) ფილიალი საქართველოში.

HNRB (Hunan Road and Bridge Construction Group Co., Ltd. (ჩინეთი)) ბაზარზე ფუნქციონირებს 1954 წლიდან. 1954 წლიდან დღემდე კომპანიის მიერ აშენებულია სხვადასხვა მასშტაბის და სირთულის 1000-ზე მეტი ხიდი, ჩქაროსნული გზები და მაღალი კლასის მაგისტრალები 5000 კმ საერთო სიგრძით, 170 კმ-ზე მეტი სიგრძის გვირაბები, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კომპანიის რეგისტრირებული კაპიტალი შეადგენს 3 მილიარდ RMB-ს, ჯამური აქტივები აღემატება 24 მილიარდ RMB-ს. კომპანიამ მოახერხა "AAA" რეიტინგის შენარჩუნება უცხოური პროექტების კონტრაქტებთან დაკავშირებით ზედიზედ ექვსი წლის

განმავლობაში და 2018 წლიდან 2023 წლამდე შედიოდა Engineering News-Record-ის „ტოპ 250 საერთაშორისო კონტრაქტორთა“ სიაში.

კომპანია ძირითადად სამშენებლო ბაზარზე ოპერირებს და მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- გზების, ხიდების, გვირაბების და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა;
- სამშენებლო მასალების წარმოება, მიწოდება და ვაჭრობა;
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა;

განვითარების პერსპექტივები

კომპანია საქართველოში ფუნქციონირებს გრძელვადიანი საერთაშორისო სამშენებლო ინფრასტრუქტურული ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიმდინარე და სამომავლო შემოსავლების სტაბილურობას ანგარიშგების პერიოდებისათვის. თუმცა კოვიდ 19 პანდემიის გავრცელებამ ბოლო სამი წლის განმავლობაში უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

კომპანიის მიერ განხორციელდა არსებული და პოტენციური რისკების შეფასება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სამშენებლო სექტორში ფორსმაჟორული სიტუაციების დროს და რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებზე, ამიტომ მსგავსი ანალიზის ჩატარება მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების სასურველი დონის შესანარჩუნებლად.

2022 წლის 15 ივნისს საქართველოს მთავრობამ გააუქმა კოვიდ 19-ის შეზღუდვები ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლასთან დაკავშირებით. გაუქმდა თითქმის ყველა შიდა კოვიდ-19 შეზღუდვა, მათ შორის, პირბადის ტარების ვალდებულება უმეტეს დახურულ ადგილებში (გარდა სამედიცინო დაწესებულებებისა). 2023 წლის განმავლობაში პანდემია კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიაზე, რაც, მაგალითად, იწვევს პროექტის შესრულების განრიგის შეფერხებას და შრომითი ხარჯების ზრდას.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური რისკებით გამოწვეული შეზღუდვები, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოეხდინათ ბალანსის შემდგომი პერიოდის ოპერაციებზე. კომპანიის ანგარიშგების და ოპერაციების შესაბამისად ქვემოთმოცემული პოზიციების მიმართ მატერიალური რისკები არ გამოვლენილა:

- შემოსავლების შემცირება;
- გაუფასურებული ან ვადაგასული მარაგების ჭარბი რაოდენობით წარმოქმნა;
- მიწოდების ჯაჭვისა და მიწოდების პოტენციური რისკები;
- არასაკმარისი სამუშაო ძალა;
- განვითარების გეგმების შეუსრულებლობა;
- მოთხოვნების არსებითი გაუფასურება;
- კომპანიის გადახდისუნარიობის შედეგად გამოწვეული ვალდებულებების ზრდა;
- ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური რისკების გავლენა.

F2 პროექტი ითვალისწინებს ხევი-უბისის 12.2 კმ-იან მონაკვეთზე ოთხზოლიანი გზის მშენებლობას. აღნიშნულ მონაკვეთზე იგეგმება 38 ახალი ხიდის (თბილისი- არგვეთა და არგვეთა-თბილისი) და 20 გვირაბის მშენებლობა. აგრეთვე მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი მილები, შესაბამისი სადრენაჟე სისტემები. მიღებული იქნება მოძრაობის უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომები. აგრეთვე იგეგმება 3 სატრანსპორტო კვანძის მოწყობა. პირველი კვანძი მოეწყობა სოფ. ხუნევსა და ვერტყვიჭალას შორის, მეორე კვანძი- სოფ. საქასრიაში, ხოლო მესამე კვანძი- სოფ. ბორითში.

ხევი-უბისას მონაკვეთი ჩუმათელეთი-არგვეთას გზის ერთ-ერთი მონაკვეთია. პროექტის საერთო სიგრძე 52 კილომეტრს შეადგენს. იგი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში .

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდად განსაზღვრულია 2022 წლის ივლისი, ვინაიდან კონტრაქტის თანახმად შესრულების ვადები გათვალისწინებულია 1080 დღეში. პროექტის დაწყების შეფერხების, აგრეთვე მისი მოსამზადებელი სამუშაოების დაგვიანებისა და პანდემიის ზემოქმედებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ F2 პროექტის სატრანსპორტო ხაზის სრული გახსნა დასრულდება 2023 წლის 28 ოქტომბერს და დაიწყება ხარვეზებზე პასუხისმგებლობის ვადა (კონტრაქტის თანახმად- 2 წელი).

ლოტი III პროექტი ითვალისწინებს სამტრედია-გრიგოლეთის ახალი ოთხზოლიანი გზატკეცილის მშენებლობას, საერთო სიგრძით 12 კმ. ლოტი III იწყება PK 300+00 (კმ 30+00) მონაკვეთიდან, ლოტი 2-ის ბოლოს, ლანჩხუთში, სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მარცხენა მხარეს და მთავრდება PK 420+00-ზე (კმ 42+00) მონაკვეთზე- ლოტი 4-ის დასაწყისთან. სექცია მოიცავს:

- 44 ბეტონის კონსტრუქციას;
- 3 ხიდს;
- 3 ესტაკადას;
- 18 რკინაბეტონის მილს;
- 13 გადასასვლელს საქონლისაგის;
- 7 რკინაბეტონის მილში გამავალ სოფლის გზას;

ზემოხსენებული პროექტისათვის თანხების გამოყოფა ძირითადად განხორციელდა ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან. აღნიშნული თანხა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში შეადგენს 324,600,318.11 ლარს. პროექტი დაიწყო 2022 წლის 1 ნოემბერს და დასრულდება ორ ნაწილად. პირველი 6 კმ-ის მშენებლობის ვადაა 670 დღე, ხოლო მომდევნო 6 კმ-ის- 730 დღე, ხოლო ხარვეზებზე პასუხისმგებლობის ვადა შეადგენს 730 დღეს.

2024 წელს საპროექტო დეპარტამენტის მიერ ყურადღება გაამახვილდება მშენებლობის პროცესში არსებული გამოწვევების დამლევაზე, წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებასა და სამშენებლო პროგრესის დაჩქარებაზე. გარდა ამისა, დამკვეთს მივმართავთ პროექტის ვადების გახანგრძლივების თაობაზე და მაქსიმალურად შევეცდებით პროექტის უმოკლეს ვადებში დასრულებას.

გ

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივები:

- პროექტების შედეგად ახალი საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს შეეძლება გადაადგილება განახლებული, კომფორტული და ბევრად უსაფრთხო გზით. შემცირდება მგზავრობის დრო და ხარჯები;
- შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მიმდინარე და განხორციელებული პროექტების მომსახურების სანდოობისა და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმებისა და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, მისი დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- მატერიალური და არამატერიალური აქტივების ეფექტური გამოყენება .

სოციალური და დასაქმების საკითხები

პროექტების განხორციელებისა და კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალის კმაყოფილების დონის შენარჩუნება. კომპანიაში აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. პერსონალთან მუშაობა იწყება მათი მიღების დღიდან. პირველ ეტაპზე დასაქმებულისათვის ხდება კომპანიის შინაგანაწესის გაცნობა, შემდეგ კი სამუშაოს ინსტრუქციისა და უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პერსონალის აყვანა ხდება გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. კომპანიამ მომუშავე პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით შეიმუშავა ბონუსების სისტემა, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და აგრეთვე სხვადასხვა სადაზღვევო პაკეტები.

საწარმოში ანაზღაურება არის როგორც ყოველთვიური, ასევე საათობრივი, ყოველდღიური და შესრულებული სამუშაოს პროპორციული. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია არსებული გამოცდილების შესაბამისად და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და სამუშაოს ხარისხიან და დროულ შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაცვა. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, აღნიშნულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში კი ხდება მისი გაფრთხილება, რიგ შემთხვევებში კი- სამსახურიდან გათავისუფლება .

კომპანიის მენეჯმენტი ფუნქციონირებს საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად და აგრეთვე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანამშრომლების რეგულარულ, ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანია მისი უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით. შესაბამისად, კომპანია ახდენს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ადმინისტრირებას და მათი პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებითა და მოდულებით, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით .

კომპანია პერიოდული ინსპექციების განხორციელების გზით ასრულებს სამუშაო ადგილებზე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ მის საერთაშორისო ვალდებულებებს.

კომპანიის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამაკაცია. ამ ეტაპზე მდებარეობითი სქესის წარმომადგენელნი ძირითადად ადმინისტრაციულ პოზიციებზე არიან დასაქმებულნი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კომპანიაში არ ხდება კადრების გენდერული ნიშნით დასაქმება, ვინაიდან კომპანიის სისტემაში მიუღებელია დისკრიმინაცია ნებისმიერი ფორმით პერსონალის შერჩევისას, სამუშაო ადგილზე ან კომპანიის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით. კომპანია იზიარებს საერთაშორისო გამოცდილებას და ანტიკორუფციული სააგენტოების რეკომენდაციებს. კომპანიის სამუშაო ადგილზე დამონტაჟებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, აგრეთვე ხორციელდება სამუშაოების რეგულარული მონიტორინგი. დაწესებულებაში არიან თანამშრომლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობებს და კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიას თავისი არსებობის განმავლობაში არ ჰქონია ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ზომების მიღების საჭიროების გამოცდილება.

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ ფუნქციონირებს გამჭვირვალედ და საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში, აგრეთვე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანის უფლებათა საკითხების სათანადო შესწავლისა და დაცვის საკითხებში.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება კომპანიის თვითკონტროლი და მონიტორინგი. კონტროლის სისტემა წარმოადგენს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობას.

კომპანიის მიერ მონიტორინგის უზრუნველყოფა წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრის გზას:

- საწარმოს საქმიანობისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება;
- უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება;
- პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი კომპანიის მუშაობისას;
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტიანი მუშაობის მონიტორინგი.
-

კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს შემდეგი ადგილების მიმდებარედ:

- დაცულ ტერიტორიებთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებთან;
- პროექტი ხორციელდება სოფლების მიღმა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან;
- სხვა ტიპის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტებთან;

8

კომპანია მუდმივად ცდილობს თავიდან აიცილოს და მინიმუმამდე დაიყვანოს სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება, რაც აისახება კონკრეტულ ქმედებებში და ეფექტიანი გეგმებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების გრძელვადიან განხორციელებაში. კომპანია იყენებს მართვის სისტემურ მიდგომებს (OMS) გარემოს დაცვის სფეროში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვაზე.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით კომპანია მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაშია. კომპანია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას გეგმავს კონტეინერის სისტემის გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვება. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან რეგულარულად გატანა ხდება ხარაგაულის დასუფთავების სამსახურის მიერ (F 2 პროექტისთვის), ხოლო ლოტი-3 პროექტზე ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნულს უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი (სარეგისტრაციო ნომერი: 433649322). სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება სამშენებლო ტერიტორიაზე გამოყოფილ სათავსოში შემდგომი გაუვნებელყოფის მიზნით.

სამშენებლო ტექნიკა გაივლის შესაბამის ტექნიკურ შემოწმებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ტერიტორიის ზეთებითა და საპოხი მასალებით დაბინძურება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიები ხელახლა დამუშავდება და აღდგება მისი სანიტარული მდგომარეობა.

განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და მოცულობის გათვალისწინების პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მომატებული რისკებით. ამ მხრივ საქმიანობა არ განსხვავდება მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტებისაგან. სამუშაოს ზედამხედველობას გაუწევს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე. სამუშაო ადგილი მაქსიმალურად შეიზღუდება და დაცული იქნება გარე პირების მოხვედრისაგან.

დაგეგმილი საპროექტო ღონისძიებებიდან გამომდინარე ფართომასშტაბიანი ავარიების ან/და კატასტროფების რისკები არ არის მოსალოდნელი. ოპერაციის დასრულების შემდეგ მოხდება ტერიტორიის ზედაპირის ტექნიკური და ბიოლოგიურად რეკულტივაცია და მასზე განთავსდება რეკომენდირებული სისქის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. რისკების მართვის სისტემა იქმნება თითოეულ საიტზე, თითოეული პროექტისთვის. კომპანია რეგულარული ინტერვალებით აკონტროლებს საგარეო და საშინაო რისკებს. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის მეშვეობით ხდება პოტენციურად დადებითი ან უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ დაწესებულების საქმიანობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო

რისკი წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის შეცვლა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია პროექტის დაწყებისთანავე იძენს საჭირო მარაგებს ობიექტზე და მიღებული ავანსის მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის სწორედ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. თუმცა, ამგვარი მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს, რაც ორგანიზაციის მხრიდან პროცესის მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მენეჯმენტი უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შემდგომში ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გაუმჯობესებას.

მენეჯმენტი მზად არის გაამჟღავნოს კრიზისიდან გამოსასვლელად საჭირო გეგმები, დაადასტუროს კომპანიისთვის საოპერაციო რისკების არარსებობა და კრიზისის დროს ფულადი ნაკადების დაგეგმვის/გამომუშავების სამოქმედო გეგმები.

2020 წლის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (ახალი კორონავირუსის) გავრცელების შესახებ, რომლის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე პანდემიით გამოწვეული ზოგადი კრიზისული ვითარების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით.

2021 წელს საქართველომ ეპიდემიის მე-3, მე-4 და მე-5 ტალღები განიცადა. 2022 წლის 1 მარტიდან უცხო ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც არის სრულად ვაქცინირებული ან გააჩნია PCR ტესტის უარყოფითი შედეგი (მოქმედი 72 საათის განმავლობაში), საქართველოს საზღვრებში ნებადართული იქნებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის შიგნით არსებული ე.წ. „ჩაკეტვა“ აღარ იარსებებდა. 2022 წლის 2 მაისიდან პირბადის გამოყენების სავალდებულო წესი დარჩა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ყველა სხვა რეგულაცია საქართველოს მთავრობამ გააუქმა. 2022 წლის 15 ივნისიდან გაუქმდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში პირბადეების ტარების ვალდებულება, პირბადის გამოყენება მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში რჩება სავალდებულო.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პანდემიამ გავლენა მოახდინა ბალანსზე 2021-2022 წლებში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში კომპანიის ძირითადი შემოსავლები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების განხორციელებიდან გამომდინარეობს და ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა, შეზღუდვების მოხსნამდე კომპანიის შემოსავლების გენერირებაზე ზემოქმედება დიდწილად არ მომხდარა. შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ცხოვრება თანდათან უბრუნდება ჩვეულ რიტმს და სამშენებლო სამუშაოებზე პანდემიის გავლენა 2023 წელსაც შემცირდა.

მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეცვალა წლიური ბიუჯეტი და აგრძელებს მუშაობას ოპტიმიზებული ხარჯებით. ამასთან, უკრაინის კრიზისიდან გამომდინარე 2022 წელს ლარის კურსმა მნიშვნელოვანი რყევები განიცადა, რამაც ჩვენი კომპანიის ვალუტის გადამცვლელი ოპერაციების შეფერხება გამოიწვია. ბოლო ორი წლის განმავლობაში შრომისა და მასალების ფასები სხვადასხვა მაჩვენებლით გაიზარდა. დიზელის ფასი გაიზარდა 30%-ით, ხოლო

8

არმატურის, ხრეშისა და ცემენტის ფასმა მოიმატა 20%-40%-ით. მასალებისა და შრომის ფასების ზრდამ გავლენა მოახდინა მშენებლობის პროგრესსა და ფულადი სახსრების მიმოქცევაზე, რამაც გამოიწვია სახსრების დეფიციტი. საპროექტო დეპარტამენტის საწყისი სამშენებლო გეგმები შეფერხდა, რის შედეგადაც სამშენებლო პროგრესი შეფერხდა კონტრაქტის მოთხოვნებთან შედარებით.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მიერ რუსეთსა და ირანზე დაწესებული სანქციების გამო ქართულმა ბანკებმა დაამატეს რიგი შემზღუდველი პუნქტები უცხოურ ვალუტაში გადახდებისთვის, რაც ართულებს საქონლის შეძენას, ტრანსპორტირებას და გადახდას.

ეს ვითარება ჯერ კიდევ პროგრესირდება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დროს, რაც შეუძლებელს ხდის სამომავლო შედეგების ზუსტ პროგნოზირებას. მენეჯმენტი აგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში

გენერალური დირექტორი

მა ჯინი

თარიღი : 10/9/2024

